



სსიპ საქართველოს აღმატებული კოლეგია LEPL GEORGIAN BAR ASSOCIATION

№ 003/18

16 03 2018

ეთიკის კომისიის

რეკომენდაცია

მეოთხე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

ინგა სეხნიაშვილი – კოლეგიის თავმჯდომარე

კონსტანტინე გელაშვილი – კოლეგიის წევრი

ირაკლი კორძახია – კოლეგიის წევრი

შეკითხვის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 01.02.2018

შეკითხვის რეგისტრაციის ნომერი: 003/18

შეკითხვის ავტორი:

შეკითხვა:

სისხლის სამართლის საქმეზე სადაც ავტოავარიის შედეგად დაზარალდა "ოლიკო" რომელიც სისხლის სამართლის პროცესის მოთხოვნათა დაცვით ცნობილ იქნა დაზარალებულად შესაბამისად ინტერესების დასაცავად აიყვანა დამცველ ადვოკატად "პეტრე".

ბრალდებულის მიერ "ოლიკოს" ოჯახთან მიგზავნილ იქნა ბრალდებულის დამცველი ადვოკატი "პავლე" (შემდგომში საპროცესო შეთანხმების დადების მიზნით). ოლიკომ ბრალდებულის ადვოკატს სთხოვა აღნიშნულ საკითხზე გასაუბრებოდნენ მის დამცველ ადვოკატ პეტრეს.

ბრალდებულის ადვოკატსა და დაზარალებულის ადვოკატს შორის საუბრის შემდეგ დაზარალებულის ადვოკატი გაესაუბრა ოლიკოს, რის შემდეგაც შეთანხმდნენ 1 000 ლარის დოლარის და 2 000 ლარის ანაზღაურებაზე. აღნიშნული ინფორმაცია პეტრემ გადასცა პავლეს. ბრალდებულის მიერ ზიანი ანაზღაურდა ნაწილობრივ რის უამოც გაღიზიანებულმა ოლიკომ ისევ გამოთქვა პრეტენზია ბრალდებულის მიმართ რითაც ხელი შეეშალა საპროცესო შეთანხმებას.

ამ გარემოების გათვალისწინებით ადვოკატებმა პეტრემ და პავლემ ერთად ინახულეს ოლიკო გასასაუბრებლად. ორივე ადვოკატი ოლიკოს არწმუნებდნენ და უმტკიცებდნენ მისი პრეტენზიის უზუსტობაში და სთხოვდნენ ნოტარიულად კიდევ ერთხელ დაემოწმებინა რომ ბრალდებულლთან პრეტენზია არ ქონდა.

დაზარალებულის მიერ გამოითქვა პრეტენზია საკუთარი ადვოკატის მიმართ შემდეგი ფრაზით (ვერ გავიგე ჩემი ადვოკატი ხარ თუ ბრალდებულისო)... მიუხედავად დაზარალებულის ემოციური ფონისა და სხვა მითითებებისა პეტრე მიუთითებდა რომ მისი პრეტენზია არ იყო სწორი და არ მოიქცა სწორად.

შეკითხვა: დაარღვია თუ არა დაზარალებულის ადვოკატმა პეტრემ ეთიკის კოდექსი როცა დაზარალებულს ბრალდებულის ადვოკატთან ერთად შეხვდა და ბრალდებულის ადვოკატის პოზიციას უზიაერებდა, უმტკიცებდა დაზარალებულს? თუ დაირღვა რომელი მოთხოვნები?

ანალიზი:

„ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მიხედვით „ადვოკატი ვალდებულია: ა) დაიცვას პროფესიული საიდუმლოება, გასული დროის მიუხედავად; ბ) კლიენტის თანხმობის გარეშე არ გაავრცელოს საადვოკატო საქმიანობის განხორციელების პროცესში მისგან მიღებული ინფორმაცია. 2. ადვოკატის მიერ პროფესიული საიდუმლოების დარღვევა იწვევს ამ კანონით და „ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით“ გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას“.

„ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის“ მე-4 მუხლის პირველი ნაწილი განმარტავს: „ინფორმაცია, რომელიც ადვოკატისთვის ცნობილი გახდა მისი პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას, კონფიდენციალურია. ადვოკატი ვალდებულია დაიცვას კონფიდენციალური ინფორმაცია იმგვარად, რომ მესამე პირებს მასზე ხელი არ მიუწვდებოდეს. კონფიდენციალობის დაცვის ვალდებულება ვრცელდება ნებისმიერ ინფორმაციაზე, რაც ადვოკატისთვის ცნობილი გახდა კლიენტისაგან ან იურიდიული რჩევის მიღების სხვა მსურველისაგან, რომელიც ადვოკატმა მიაწოდა კლიენტს ან ადვოკატმა სხვა წყაროდან გაიგო კლიენტთან ან მის საქმესთან დაკავშირებით“.

ნდობის პრინციპი მოითხოვს, რომ ადვოკატმა არ განახორციელოს ქმედება, რომელიც წარმოშობს მის მიმართ კლიენტის ნდობის დარღვევის რისკს.

ეთიკის კომისიამ 2012 წლის 10 აპრილის გადაწყვეტილებაში დისციპლინურ საქმეზე №094/11 დაადგინა: „კონფიდენციალობის დაცვის ვალდებულება ვრცელდება ნებისმიერ ინფორმაციაზე, რომელიც ადვოკატისათვის ცნობილი გახდა პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას, აღნიშნული, გარდა კლიენტისაგან მიღებული ინფორმაციისა, მოიცავს, ასევე, კლიენტის შესახებ სხვა ნებისმიერი წყაროდან მიღებულ ინფორმაციას, რომელიც ადვოკატისათვის ცნობილი გახდა საადვოკატო საქმიანობის განხორციელების პროცესში. ამასთან, კონფიდენციალობის დაცვის ვალდებულება არ არის შეზღუდული დროში და ადვოკატს ამ ვალდებულების შესრულება ეკისრება გასული დროის მიუხედავად. ეთიკის კომისია განმარტავს, რომ კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვა არ გულისხმობს მხოლოდ ინფორმაციის განსაჯაროების აკრძალვას, ინფორმაციის დაცვა ასევე მოიცავს ადვოკატის ვალდებულებას არ გამოიყენოს კონფიდენციალური ინფორმაცია კლიენტის ინტერესების საწინააღმდეგოდ...“

ადვოკატი ვალდებულია დაცვას კონფიდენციალობა კლიენტის წარმომადგენლობასთან და დაცვასთან დაკავშირებით, ეს ვალდებულება ვრცელდება ასევე იმ რჩევაზე, რომელსაც ადვოკატი კლიენტს მიაწვდის. ეს ასევე ნიშნავს იმას, რომ ასეთი რჩევის მიცემას არ უნდა ესწრებოდეს სხვა პირი, რადგან ამ შემთხვევაში ინფორმაცია ვერ იქნება პრივილეგით დაცული და ასეთი სხვა გარეშე პირი შეიძლება დაიკითხოს ადვოკატის მიერ გაწეულ რჩევის შინაარსთან დაკავშირებით. რა თქმა უნდა პრივილეგია იცავს კლიენტს და მასვე შეუძლია თქვას პრივილეგიაზე უარი, თუმცა ამისთვის ადვოკატმა კონფიდენციალურად უნდა გააცნოს პრივილეგიაზე უარის თქმის, რისი ერთ-ერთი გამოხატულება შეიძლება იყოს რჩევის მიცემისას გარეშე პირის დასწრების შედეგი, და კლიენტის გადაწყვეტილება უნდა იყოს ინფორმირებული გადაწყვეტილება.

ამ შემთხვევაში ადვოკატი კლიენტს ურჩევდა საწინააღმდეგო ინტერესების მქონე მხარის ადვოკატის თანდასწრებით, რაც კიდევ უფრო მძიმეს ხდის დარღვევას, რადგან საწინააღმდეგო ინტერესების მხარე ინფორმირებული ხდება რჩევის შინაარსის შესახებ, მოწინააღმდეგე მხარეზე ინფორმაციის მიღება თავისთვად უპირატესობას ანიჭებს მას. შედეგად დარღვეულია როგორც პრივილეგიის, ასევე მოწინააღმდეგე მხარისგან კონფიდენციალობის დაცვის წესები. ეს ერთ-ერთი ყველაზე მძიმე დარღვევა ადვოკატის მხრიდან პროფესიული ქცევის წესების.

ადვოკატის პოზიცია უნდა ასახავდეს კლიენტის პოზიციას, დაუშვებელია, მათ ადვოკატის მიერ გარეთ გამოხატულ პოზიციას და კლიენტის სუბიექტურ პოზიციას შორის იყოს განსხვავება, თუნდაც ადვოკატი სუბიექტურად არ ეთანხმებოდეს კლიენტს. იმ შემთხვევაში, თუ ადვოკატი თვლის, რომ კლიენტის მითითებები აიძულებს მას დაარღვიოს პროფესიული ქცევის წესი ან კანონი, მან უნდა შეწყვიტოს წარმომადგენლობა შესაბამისი ვადის დაცვით, თუ ადვოკატი აგრძელებს წარმომადგენლობას, ის ვალდებულია განახორციელოს თავისი საქმიანობა კლიენტის მიერ მიღებული მითითებების შესაბამისად. ეს არ გამორიცხავს ადვოკატის უფლებას, რაც ხშირად მის ვალდებულებას წარმოადგენს, მიაწოდოს კლიენტს სრული ინფორმაცია და აუხსნას რისკები, თუ რა შეიძლება გამოიწვიოს კლიენტის მითითებების შესრულებამ. ეს საშუალებას აძლევს კლიენტს მიიღოს ინფორმირებულ გადაწყვეტილება და მისცეს ადვოკატს შესაბამისი მითითებები, რომლის შესაბამისად ადვოკატი ვალდებულია განახორციელოს დაცვა ან წარმომადგენლობა.

ამ შემთხვევაში ჰიპოთეტური ფაქტებიდან ჩანს, რომ კლიენტის პოზიცია არ ემთხვეოდა ადვოკატის პოზიციას, თუმცა არ ჩანს, რომ ადვოკატი აწვდიდა სრულ ინფორმაციას კლიენტის პოზიციის დაცვის შემთხვევაში, რა შესაძლო შედეგები შეიძლება დამდგარიყო და როგორი იყო რისკები. თუ აღნიშნულ ინფორმაციას მიაწვდიდა ადვოკატი, და კლიენტი მაინც დარჩებოდა თავის პოზიციაზე, ადვოკატი უნდა მოქცეულიყო ამ მითითებების შესაბამისად. როგორც ზემოთ აღინიშნა, აღნიშნული მსჯელობა უნდა მოხდეს მხოლოდ ადვოკატის და კლიენტის თანდასწრებით და სრულებით დაუშვებელია, ასეთ მსჯელობას ესწრებოდეს საწინააღმდეგო ინტერესის მქონე ადვოკატი. აღნიშნულის დარღვევამ შეიძლება ასევე დაარღვიოს კლიენტის ნდობა ადვოკატის მიმართ, რაც ადვოკატის მიერ პროფესიული საქმიანობის განხორციელების საფუძველია. ადვოკატი შეიძლება იზიარებდეს მოწინააღმდეგე მხარის შემოთავაზებას და ურჩევდეს კიდევაც მის გაზიარებას კლიენტს, ობიექტური მიზეზებიდან გამომდინარე, თუმცა, თუ ამას ის მოწინააღმდეგე მხარის ადვოკატთან ერთად აკეთებს, კლიენტს შეიძლება წარმოეშვას გონივრული ვარაუდი, რომ ადვოკატი მისი საუკეთესო ინტერესების შესაბამისად არ მოქმედებს. შესაბამისად დამატებით კონფიდენციალობის დარღვევასთან და

პრივილეგიის რისკის ქვეშ დაყენებასთან, ადვოკატი ამ შემთხვევაში ახორციელებს ისეთ ქმედებას, რომელიც მის მიმართ ობიექტურად შეიძლება გამოიწვიოს კლიენტის ნდობის დარღვევა.

დასკვნა:

ადვოკატი ვალდებულია დაიცვას კონფიდენციალობა კლიენტის წარმომადგენლობასთან და დაცვასთან დაკავშირებით, ეს ვალდებულება ვრცელდება ასევე იმ რჩევაზე, რომელსაც ადვოკატი კლიენტს მიაწვდის. ეს ასევე ნიშნავს იმას, რომ ასეთი რჩევის მიცემას არ უნდა ესწრებოდეს სხვა პირი, რადგან ამ შემთხვევაში ინფორმაცია ვერ იქნება პრივილეგიით დაცული.

მოცემულ შემთხვევაში ადვოკატი კლიენტს ურჩევდა საწინააღმდეგო ინტერესების მქონე მხარის ადვოკატის თანდასწრებით, რაც კიდევ უფრო მძიმეს ხდის დარღვევას.

ადვოკატი წარმომადგენლობისას ვალდებულია განახორციელოს თავისი საქმიანობა კლიენტის მიერ მიღებული მითითებების შესაბამისად. ეს არ გამორიცხავს ადვოკატის უფლებას, რაც ხშირად მის ვალდებულებას წარმოადგენს, მიაწოდოს კლიენტს სრული ინფორმაცია და აუხსნას რისკები, თუ რა შეიძლება გამოიწვიოს კლიენტის მითითებების შესრულებამ. ამ შემთხვევაში ჰიპოთეტური ფაქტებიდან ჩანს, რომ კლიენტის პოზიცია არ ემთხვეოდა ადვოკატის პოზიციას, თუმცა არ ჩანს, რომ ადვოკატი აწვდიდა სრულ ინფორმაციას კლიენტის პოზიციის დაცვის შემთხვევაში, რა შესაძლო შედეგები შეიძლება დამდგარიყო და როგორი იყო რისკები. თუ აღნიშნულ ინფორმაციას მიაწვდიდა ადვოკატი, და კლიენტი მაინც დარჩებოდა თავის პოზიციაზე, ადვოკატი უნდა მოქცეულიყო ამ მითითებების შესაბამისად. ასეთ მსჯელობას ესწრებოდეს საწინააღმდეგო ინტერესის მქონე ადვოკატი. აღნიშნულის დარღვევამ შეიძლება ასევე დაარღვიოს კლიენტის ნდობა ადვოკატის მიმართ, რაც ადვოკატის მიერ პროფესიული საქმიანობის განხორციელების საფუძველია. ადვოკატი შეიძლება იზიარებდეს მოწინააღმდეგე მხარის შემოთავაზებას და ურჩევდეს კიდევაც მის გაზიარებას კლიენტს, ობიექტური მიზეზებიდან გამომდინარე, თუმცა, თუ ამას ის მოწინააღმდეგე მხარის ადვოკატთან ერთად აკეთებს, კლიენტს შეიძლება წარმოეშვას გონივრული ვარაუდი, რომ ადვოკატი მისი საუკეთესო ინტერესების შესაბამისად არ მოქმედებს.

რეკომენდაცია არ არის სავალდებულო საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის ან სასამართლოს მიერ საქმის განხილვის ეტაპზე, თუმცა შესაძლებელია, გამოყენებულ იქნეს ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებაში, როგორც ერთ-ერთ წყარო.

კოლეგიის თავმჯდომარე:

/ინგა სეხნიაშვილი/

კოლეგიის წევრი:

/კონსტანტინე გელაშვილი/

კოლეგიის წევრი:

/ირაკლი კორძახია/